



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/55

ქ. თბილისი

13 დეკემბერი 2021

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე რეზერვინგის პროექტის ფარგლებში  
სტუ-ის განახლებული გერბისა და ლოგოს დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 დეკემბრის №01-05-04/187 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 13 დეკემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გერბი და ლოგო წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).

2. შევიდეს ცვლილება სტუ-ის წესდების პირველი მუხლის მე-5 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გერბი წარმოადგენს ფარს, ზემოთ ჩაზნექილი ფორმით, როგორც გადაშლილი წიგნის საერთაშორისო სიმბოლო, მისი ძირითადი ფერი არის


იისფერი. ფარის არქიტექტონიკაში ძირითადი ადგილი უჭირავს არწივის მართვეს გრაფიკულ გამოსახულებას. ბრინჯაოს არწივი ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი, ძველი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნის II ნახევრით დათარიღებული, ქართული საინჟინრო აზროვნების - მხატვრული სამსხმელო წარმოების ნიმუშია. ფარს ზემოთ დატანილია უნივერსიტეტის დევიზი „ცოდნა ძალაა“, ლათინურ ენაზე - „Scientia potestas est“, ხოლო დევიზის ზემოთ უნივერსიტეტის დაარსების წელი „1922“.

3. უნივერსიტეტის გერბის აღწერილობის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, წარდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი



ჯემალ გახოკიძე